Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში

„სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“ მეთოდური მითითება

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებას „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“, 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით დაემატა მეთოდური მითითება „სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“ - დანართი №9.

მეთოდური მითითების მიზანია საგადასახადო შემოწმებისას სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის მიმართ შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ერთიანი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა.

მეთოდური მითითება:

ა) არეგულირებს საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის სალაროში ნაღდი ფულის ნაშთიდან გონივრული ნაშთის გაანგარიშებას და არაგონივრული ნაშთის დაბეგვრას;

ბ) არ არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის N994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით“ გათვალისწინებულ, სალაროში ნაღდი ფულის დათვლის პროცედურებს;

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

GMP და GDP სტანდარტების დაკმაყოფილება ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების და საბითუმო დისტრიბუციის სფეროში

„ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #206 დადგენილებით, ასევე ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორის მიერ სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის საბითუმო და საცალო რეალიზაციის დაწყებისა და დასრულების შესახებ შეტყობინების ფორმისა და წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 20 ივლისის #01-28/ნ ბრძანებით ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორებს 2022 წლის 1 იანვრიდან ევალებათ, დააკმაყოფილონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტირბუციო პრაქტიკის (GDP) სტანდარტი.

ასევე, „ფარმაცევტული წარმოების საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების ნუსხის აღიარების და წარმოების ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის განსაზღვრისა და დანერგვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის №349 დადგენილებით ფარმაცევტული წარმოების ნებართვის მფლობელები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოება 2022 წლის 1 იანვრიდან.

2021 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის #635 და #638 დადგენილებებით, როგორც ფარმაცევტული წარმოების ნებართვის მფლობელებს, ასევე ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორებს დამატებით განესაზღვრათ ვადა შესაბამისი სტანდარტით (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის სტანდარტით (GDP) ან კარგი საწარმოო პრაქტიკის სტანდარტით (GMP)) გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. კერძოდ, ფარმაცევტული პროდუქტების მწარმოებლებს, რომელთა მიმართაც წარმოების ნებართვა გაიცა იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში ან მაისში (ნებართვის გაცემის წლის მიუხედავად), საქართველოს ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე საქართველოს ბაზრისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება 2022 წლის 30 ივნისიდან შეეზღუდებათ, ხოლო დანარჩენ თვეებში გაცემული ნებართვების შეზღუდვის ვადად განისაზღვრება იმ თვის ბოლო რიცხვი, რომელ თვეშიც განხორციელდა ნებართვის გაცემა. იგივე წესი გავრცელდა ფარმაცევტული პროდუქტების საბითუმო რეალიზატორებზე იმ განსხვავებით, რომ შესაბამისი შეზღუდვის დაწესების ვადა დაუკავშირდა საბითუმო რეალიზაციის შესახებ შეტყობინების თარიღს.

მეწარმეთა შესახებ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებული ნორმატიული აქტები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონი, რომლის ამოქმედებასთან დაკავშირებითაც გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავება.

სწორედ ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 12 იანვრის #1-1/6 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების დაშლის წესი. ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის #20 დადგენილებით დამტკიცდა იმ საწარმოს დაშლის წესი, რომლის აქციების ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს მუნიციპალიტეტი.

ორივე ნორმატიული აქტი განსაზღვრავს შესაბამისი საწარმოების დაშლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესს, საფუძვლებს, სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის პროცედურის დაწყებას, ლიკვიდატორის დანიშვნის საკითხებს, მისი უფლება-მოვალეობების მოცულობას, განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალს და ვადებს, ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საწარმოების დაშლისას კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების წინაპირობებს, საწარმოების აქტივების რეალიზაციის წესს და სხვა საკითხებს.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.